ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14260126**

თარიღი:**12/01/2026**

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამის „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №53 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი 1-ისა.

ბ) „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში (ღონისძიება „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“) ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 2-ისა.

გ) სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თანახმად დანართი 3-სა.

2. „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და

მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

3. „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა და ამ ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის მიწოდება.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (www.batumi.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 1
დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2026 წლის ___ იანვრის
№_____ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მზრუნველობას მოკლებულ პირთა (130) მოვლა-პატრონობა. ბიუჯეტი - 1 660 750 ლარი. ერთი დღის მომსახურება - 35 ლარი.

2. „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების მიზანია უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით (24 საათიანი), შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, უნიფორმით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას (მენიუ თან ერთვის). ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან უპოვარი და მზრუნველობას მოკლებული ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში.

5. უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ.№10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი

დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტო-სურათების, ნახაზების და ა.შ. თანდართვით. ფართის რაოდენობა საშუალოდ 3-5 კვადრატული მეტრი ერთ ბენეფიციარზე. შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები: ექიმი, ექთანი, მოწყალების და/ან ძმა. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლოს სხვადასხვა ვიწრო სპეციალისტის მომსახურება.

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“ ღონისძიების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებგვერდზე www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24 63 02; 577 30 26 59; მარინე რუხაძე.

დანართი 2

დამტკიცებულია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2026 წლის ____ იანვრის

№_____ ბრძანებით

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში (ღონისძიება „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“)

ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუ-მენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25).

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის/სოციალურად დაუცველი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ფორმა №100, საჭიროების შემთხვევაში;
- შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სერვის ცენტრის მიერ ჩატარებული მოკვლევა.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში.

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი 6 თვეში ერთჯერ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით - 35 ლარი ერთ დღეზე, 2026 წლის განმავლობაში.

მენიუ

ორშაბათი			სამშაბათი		
საუზმე	ჩაი	200 გრ.	საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.		კარაქი	20 გრ.
	მანის ფაფა რძეზე	200 გრ.		მაკარონის ფაფა რძეზე	200 გრ.
	მოხარშული კვერცხი	1 ც		არაჟანი	60გრ.
	პური	150 გ		პური	150გრ
სადილი	ბორში არაჟნით	20/500 გრ.	სადილი	კვახის სუპი	500 გრ.
	შემწვარი კარტოფილი ქათმით	100/150 გრ.		კატლეტი პიურე	70/200 გრ.
	ლიმონათი	200 მლ.		კომპოტი	200 გრ.
	პური	200 გრ.		პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.	ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ღვეზელი	200 გრ.		ხაჭაპური მაწონი	70/200 გრ.
	არაჟანი	60 გრ.		პური	150 გრ.
	პური	150 გრ.			
ოთხშაბათი			ხუთშაბათი		
საუზმე	ჩაი	200 გრ.	საუზმე	ხაჭო	60 გრ.
	კარაქი	20 გრ.		ჩაი, კარაქი	20 გრ.
	წიწიბურა სოსისით	1/200 გრ.		ბრინჯის ფაფა	200 გრ.
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.
სადილი	სუპი ბარდის	500 გრ.	სადილი	სუპი ბრინჯის	500 გრ.
	ბურღულის ფლოვი ხორცით	200 გრ.		თევზი პიურეთი საწებლით	80/200 გრ.
	სტაფილოს სალათი	200 გრ.		კომპოტი	200 გრ.
	ლიმონათი	200მლ.		ქათმის სალათი	200 გრ.
	პური	200 გრ.		პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.	ვახშამი	კაკაო	200 გრ.
	ფუნთუშა	1ც.		მაკარონი ყველით	200 გრ.
	არაჟანი	60 გრ.			
	მოხარშული კვერცხი	1 ც			
	პური	150 გრ.		პური	150 გრ.

	პარასკევი	
საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.
	წიწიბურა სოსისი	1/200 გრ.
	პური	150 გრ.
სადილი	ლობიო	400 გრ.
	უხორცო ტოლმა	200 გრ.
	ჭარხლის სალათა	200 გრ.
	ნაბეღლავი	200 გრ.
	პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ტკბილი ფლოვი	200 გრ.
	მაწონი	250 გრ.
	პური	150 გრ.

	შაბათი	
საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.
	ბრინჯის ფაფა	200 გრ.
	პური	150 გრ.
	შემწვარი კვერცხი	2 ც.
სადილი	ბოსტნეულის სუპი	500 გრ.
	გულიაში კარტოფილით	200 გრ.
	კომპოტი	200 გრ.
	პური	200 გრ.
ვახშამი	ჩაი	200 გრ.
	ღვეზელი	200 გრ.
	პური	150 გრ.
	არაჟანი	60გრ

	კვირა	
საუზმე	ჩაი	200 გრ.
	კარაქი	20 გრ.
	მანის ფაფა	200 გრ.
	პური	150 გრ.
სადილი	ქათმის სუპხარჩო	500 გრ.
	მჭადი ყველით	1/60 გრ.
	ვინეგრეტი	200 გრ.
	ლიმონათი	200 გრ.
	პური	200 გრ.
ვახშამი		
	ფუნთუშა არაჟნით	1/60 გრ
	პური	150 გრ
	კისელი	200 გრ.

დანართი 3
დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2026 წლის ____ იანვრის
№_____ ბრძანებით

პროექტი

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი **„.....“ ..... 2026 წ.**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის _____ სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის _____ იანვრის №_____ ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ, _____ _____ (საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი, _____) (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

2.1 ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: საქართველოს სამოქ-ლაქო კოდექსი; საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №53 დადგენილება; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწი-ნებული პროგრამა „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამა „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ (ღონისძიება „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება სავანეში“); ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ____ იანვრის №_____ ბრძანება.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორ-ციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა“, ქვეპროგრამის „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ფარგლებში მზრუნველობას მოკლებულ პირთა (შემდგომში „ბენეფიციართა“) მოვლა-პატრონობის მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება: უპოვარ და მზრუნვე-ლობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას.

3.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკ-რულებით განსაზღვრული პირებისთვის (ბენეფიციარი) ვაუჩერის საფუძველზე მომსახუ-რების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

4. ძირითადი დებულებები

4.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს ბენეფიციართა უზრუნველყოფა თავშესაფრით (24 საათიანი), შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, უნიფორმით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და სამჯერადი კვებით, მენიუს მიხედვით. კვების მენიუ თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.2. მომსახურების მიმღებ პირთა (ბენეფიციართა) განსაზღვრას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ამ პირებზე ვაუჩერის გაცემით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია 4.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურება მიაწოდოს ბენეფიციარს ვაუჩერის წარმოდგენის საფუძველზე.

4.4. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, რომ ბენეფიციართა მომსახურების ადგილი მომსახურების მთელი პერიოდისათვის შეინარჩუნოს იმ მდგომარეობაში, რაც განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის _____ იანვრის №_____ ბრძანებით.

4.5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს უფლებამოსილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მომსახურების მიწოდებაზე.

5. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური, ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პერიოდია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

5.2. შემსყიდველი მიმწოდებელს ბენეფიციარისთვის გაწეული მოსახურების სანაცვლოდ უხდის 35 (ოცდათხუთმეტი) ლარს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ყოველ დღეზე.

5.3. საფასურის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ვაუჩერის წარმოდგენის საფუძველზე, 5.2. პუნქტით დადგენილი წესით.

5.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი მიმწოდებლის წინასწარ ინფორმირების შემდგომ და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზინა ბერიძე, ხოლო მისი არყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი ირმა წილოსანი.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

6.2. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურების შესრულებიდან არა უმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშფაქტურა/ინვოისი.

7.3. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.4. გაწეულ მომსახურეობაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს ინვოისის წარმოდგენიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

7.5. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს 12 სამუშაო დღისა შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 100 ლარის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომსახურების გამწევს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწნებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მომსახურების გამწევს სახელშეკრულებო ანაზღაურება.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

10.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

10.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკ-რულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

10.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

10.7. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ___ იანვრის №_____ ბრძანებას, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი

_____ /_____//_____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

„მიმწოდებელი“
_____
(სახელი, გვარი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი)

წარმომადგენელი: /_____//_____/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

დანართი: კვების მენიუ

შემსყიდველი: მიმწოდებელი: